



ზამთრის სკოლა

**კანონის უზენაესობა
და ადამიანის უფლებები**

9-14 დეკემბერი, 2021 წელი

გუდაური, საქართველო



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი


ზამთრის სკოლა სტუდენტებისთვის - "კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები" ორგანიზებულია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით.

ღღის წესრიგი



9 დეკემბერი

გამგზავრება თბილისიდან





10 ღაქაშბარი

08:30 – 09:30



საუზმა

09:30 – 10:00

მისალმება/მონაწილეების გაცნობა



გიორგი კლდიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი, IDFI



ქეთევან კუკავა

კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მიმართულების ხელმძღვანელი, IDFI



ერიკ ილას

განვითარების თანამშრომლობის ხელმძღვანელი და მისიის ხელმძღვანელის მოადგილე, შვედეთის საელჩო

10:00 – 11:30

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი



ნანა ჟიღლაქა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი

11:30 – 13:00

საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება



ნანა ჟიღლაქა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი

13:00 – 14:00



სადილი

14:00 – 15:15

დამოუკიდებელი სასამართლო - კანონის უზენაესობის წინაპირობა



ქეთევან კუკავა

კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მიმართულების ხელმძღვანელი, IDFI

15:15 – 15:30



ყავის შესვენება

15:30 – 17:00

ღია მმართველობა და ხელისუფლების ანგარიშვალდებულება



გიორგი კლდიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი, IDFI

19:00 – 20:00



ვახუაი



11 დეკემბერი

09:00 – 10:00



საუბრა

10:00 – 11:30

ინფორმაციის თავისუფლების საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში



კაათა ტურავა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი

11:30 – 13:00

საქართველოს უზენაესი სასამართლოს და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ



კაათა ტურავა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი

13:00 – 14:00



სადილი

14:00 – 15:30

პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება: ევროპული სტანდარტები



კონსტანტინე კორკელია

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პროფესორი, თსუ

15:30 – 15:45



ყავის შესვენება

15:45 – 17:15

პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება: ევროპული სტანდარტები



კონსტანტინე კორკელია

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პროფესორი, თსუ

19:00 – 20:00



ვახუაძე



12 დეკემბერი

09:00 – 10:00



საუზმე

10:00 – 11:30

სახალხო დამცველის საზედამხებ-
ველო ფუნქცია



გიორგი ბურჯანაძე

სახალხო დამცველის მოადგილე

11:30 – 13:00

სახალხო დამცველის როლი გენდე-
რული თანასწორობის უზრუნველ-
ყოფის პროცესში



ეკატერინე სხილაძე

სახალხო დამცველის მოადგილე

13:00 – 14:00



სადილი

14:00 – 15:00

სახელმწიფო ინსპექტორის სამსა-
ხურის საზედამხებველო ფუნქცია -
პერსონალურ მონაცემთა დაცვა



სალომე ბახსოლიანი

სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე

15:00 – 15:30



ყავის შესვენება

15:30 – 16:30

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახუ-
რის საგამოძიებო ფუნქცია



გიორგი გამეზარდაშვილი

სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე

19:00 – 20:00



ვახუაში



13 დეკემბერი

09:00 – 10:00



საუზმა

10:00 – 13:00

ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლოს უფლებამოსილება,
სასამართლოსთვის მიმართვის
პროცედურა



დავით ჯანდიერი

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

13:00 – 14:00



სადილი

14:00 – 15:15

ინფორმაციის თავისუფლება და
საერთაშორისო სტანდარტები



ქეთევან კუკავა

კანონის უზენაესობისა და ადამიანის
უფლებების მიმართულების
ხელმძღვანელი, IDFI

15:15 – 15:30



ყავის შესვენება

15:30 – 17:00

ინფორმაციის თავისუფლების
პრაქტიკა საქართველოში



ლევან ავალიშვილი

პროგრამების დირექტორი, IDFI

19:00 – 20:00



ვახუაში



14 დეკემბერი

09:00 – 10:00



საუზმე

10:00 – 12:00

გამოსატვის თავისუფლება



ანა ჭიაბრიშვილი

პროექტის მენეჯერი, IDFI

13:00 – 14:00



სადილი

14:00 – 14:30



ზამთრის სკოლის შეჯამება

14:30 – 15:00



სერთიფიკაციების გადაცემა

15:00 – 15:30




ყავის შესვენება



გამომგზავრება თბილისში



მომხსენებელი



კონსტანტინე კორკელია


ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის პროფესორი, თსუ; საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (cum laude), ლიუდენის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები; იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (თსუ); იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (თსუ);

კონსტანტინე კორკელია იყო საქართველოს გენერალური წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში; იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე (2005-2007 წწ.); საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლატვიაში (2008-2013 წწ.) და საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ევროპის საბჭოში (სტრასბურგი; 2013-2017 წწ.).

კონსტანტინე კორკელია ასევე იყო მიწვეული მეცნიერი შედარებითი საჯარო სამართლისა და საერთაშორისო სამართლის მაქს პლანკის ინსტიტუტსა (გერმანია) და ნიუ-ორკის უნივერსიტეტში. 2020 წელს მან მიიღო ჯილდო ადამიანის უფლებათა მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის. კონსტანტინე კორკელია არის 40-მდე წიგნის ავტორი და რედაქტორი; ასევე 50-მდე სტატიის ავტორი, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში.



გიორგი კელდიასვილი



გიორგი კელდიასვილი

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“
(IDFI) თანადაფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი

მას აქვს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ღია მმართველობისა და კორუფციასთან ბრძოლის საკითხებზე მუშაობის 10 წელზე მეტი ხნის გამოცდილება. გიორგის განხორციელებული აქვს პროექტები, კვლევები და ტრენინგები სხვადასხვა საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისთვის და სახელმწიფო დაწესებულებისთვის. გიორგი კელდიასვილი არის ავტორი რიგი ნაშრომებისა, რომლებიც ეხება: საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ანტიკორუფციულ პოლიტიკას, კარგ მმართველობას, გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას, ელექტრონულ მმართველობასა და დემოკრატიას, ღია მონაცემებს, საჯარო სამსახურს და საჯარო ადმინისტრირებას, მედიას და ინტერნეტს.


IDFI-ისთან დაკავშირებული საქმიანობის გარდა გიორგი კელდიასვილს, როგორც სპეციალობით ისტორიკოსს, აქვს გამოცდილება აკადემიურ საქმიანობაში, კერძოდ, ამერიკისა და საბჭოთა კავშირის ისტორიის შესახებ კვლევებში. ის არის პროფესიონალი არქივის მკვლევარი და აქვს საქართველოსა და უცხოეთის არქივებში მუშაობის 20 წლიანი გამოცდილება. გიორგი კელდიასვილს დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის დოქტორანტურა და მუშაობდა პროფესორად და ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ინსტიტუტში.

გიორგი კელდიასვილი 2017-2020 წლებში იყო ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მმართველი კომიტეტის წევრი სამოქალაქო საზოგადოებიდან.

იგი სრულყოფილად ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.



მომხსენებელი



ნანა ჭილაძე


ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილებით

1999 წელს მას მიენიჭა სამართლის დოქტორის ხარისხი. 2010-2011 წლებში იყო სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, ხოლო 2011-2014 წლებში იმავე ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი. ნანა ჭილაძე იყო განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმის ფარგლებში მრავალი საკანონმდებლო წინადადების თანაავტორი 2009 – 2014 წლებში. 2009-2010 წლებში ის ხელმძღვანელობდა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის საკანონმდებლო ხელისუფლების ჯგუფს.

ნანა ჭილაძე არის არაერთი სახელმძღვანელოს, მონოგრაფიისა და სტატიის ავტორი, რომლებიც ეხება საკონსტიტუციო სამართალსა და ადამიანის უფლებებს. მას მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ საერთაშორისო კონფერენციაში. ნანა ჭილაძე არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის 30 წლის განმავლობაში ათობით სამეცნიერო კონფერენციის და სხვა ღონისძიების ორგანიზატორი, მონაწილე და მომხსენებელი. მას გავლილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი არაერთი კურსი და ტრენინგი საქართველოში და საზღვარგარეთ.



მოხსენებელი



ლევან ავალიშვილი

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI)
პროგრამების ღირებუთრი და ერთ-ერთი დამფუძნებელი


მას აქვს 13 წელზე მეტი ხნის გამოცდილება ორგანიზაციულ ხელმძღვანელობაში, პროგრამების მართვაში, დონორებთან ურთიერთობასა და სამთავრობო სტრუქტურებთან ადვოკატირებაში.

ლევანს აქვს მუშაობის დიდი გამოცდილება საჯარო ადმინისტრირების მიმართულებით საქართველოში. მას ჩატარებული აქვს მრავალი შემდეგ საკითხებზე: ინფორმაციის თავისუფლება და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ელექტრონული მმართველობა, კარგი მმართველობა, ღია მონაცემები, ელექტრონული მმართველობის სტრატეგიების ფორმულირება და ა.შ. ლევანს მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს იმ საჯარო მოხელეებისა და ადამიანური რესურსების მენეჯერების გადამზადებაში, რომლებიც მუშაობენ ეროვნულ და/ან საჯარო ხელისუფლებასთან, ევროკავშირის სტრუქტურებთან (EC, EPO) და USAID-ის მიერ დაფინანსებულ დაწესებულებებთან. ლევანი ასევე არის საბჭოთა კავშირის ისტორიის მკვლევარი და ამ თემაზე რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

ლევან ავალიშვილი არის ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციისა და ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაციის წევრი; ამერიკის შესწავლის ინსტიტუტისა (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის საბჭოს წევრი.



მომხსენებელი



ქეთევან კუკავა

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მიმართულების ხელმძღვანელი;
საქართველოს უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი


2015-2016 წლებში ქეთევან კუკავა მუშაობდა იურისტად არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრში“ (ამჟამად, „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“). 2014-2015 წლებში მან გაიარა სტაჟირება სამართლებრივი კვლევის მიმართულებით ბრიტანულ ორგანიზაცია „ბავშვთა უფლებების საერთაშორისო ქსელში“ (CRIN). 2011-2013 წლებში მუშაობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

ქეთევან კუკავა ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ბაკალავრის, ასევე საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) საერთაშორისო სამართლის მაგისტრის ხარისხს. მას ასევე აქვს მაგისტრის ხარისხი ადამიანის უფლებებში, ერთობლივად გაცემული სამი პარტნიორი უნივერსიტეტის - როეჰამპტონის უნივერსიტეტის (ინგლისი), გოტენბურგის უნივერსიტეტისა (შვედეთი) და ტრომსოს უნივერსიტეტის (ნორვეგია) მიერ. 2017 წლიდან ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტია.

ქეთევან კუკავას აქვს კვლევითი საქმიანობის, სტრატეგიული სამართალწარმოების, პროექტების მართვისა და საუნივერსიტეტო სწავლების კარგი გამოცდილება. ის არის არაერთი პუბლიკაციის ავტორი/თანაავტორი, რომლებიც ეხება სასამართლო რეფორმას, სამართალდამცავ სისტემასა და ადამიანის უფლებებს. მას მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ საერთაშორისო/ადგილობრივ ტრენინგსა და სასწავლო პროგრამაში.



მომხსენებელი



დავით ჯანდიერი

იურისტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილებით საჯარო და პირად სტრუქტურებში

2012-2013 წლებში ეკავა საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა. აღნიშნულ პოზიციაზე დავით ჯანდიერის საკურატორო მიმართულებებს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სერვისების განვითარების სააგენტო, აღსრულების ეროვნული ბიურო, საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, საქართველოს ეროვნული არქივი) წარმოადგენდა.


2012 წლამდე დავით ჯანდიერი ეწეოდა წარმატებულ საადვოკატო საქმიანობას. იგი გახლდათ მომჩივნის ადვოკატი სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განხილულ ცნობილ საქმეზე - „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“.

ამჟამად დავით ჯანდიერი კონსულტაციებს უწევს სხვადასხვა ბიზნეს-კორპორაციებს, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების საჯარო განხილვებში ექსპერტის სტატუსით მას-მედიაში, სხვადასხვა საექსპერტო დაწესებულებების მიერ მართულ პროექტებში. 2018 წლიდან მან კვლავ განაახლა საადვოკატო საქმიანობა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საქმეებში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, მათ შორის არის „საუკუნის პროცესად“ წოდებული ე.წ. „ცინიანის საქმე“ და ე.წ. „კარტოგრაფების საქმე“ (I).

დავით ჯანდიერი არის სტრასბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და მინიჭებული აქვს მაგისტრის წოდება ევროპულ სამართალსა და სწავლებაში, სპეციალიზაციით - ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი. იგი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორი საერთაშორისო სამართალში.



მოხსენებელი



სალომე ბახსოლიანი

სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე


იგი ხელმძღვანელობს სამსახურის პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლის მიმართულებას. მონაცემთა დაცვის სფეროში სალომე ბახსოლიანი 2014 წლიდან მუშაობს, ჯერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში, შემდგომ კი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში, სხვადასხვა თანამდებობებზე. მისი საქმიანობა მოიცავს საჯარო და კერძო ორგანიზაციებში პერსონალური მონაცემების დაცვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობას, მონაცემთა დამუშავების პროცესების კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებას, ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას, სხვადასხვა საერთაშორისო და ევროპულ პლატფორმებში მონაწილეობას.

სალომე ბახსოლიანი არის პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე მომუშავე არაერთი საერთაშორისო და ადგილობრივი სამუშაო ჯგუფის წევრი. 2015 წლიდან პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე ატარებს ტრენინგებს სხვადასხვა ორგანიზაციებისა და დაინტერესებული პირებისათვის. ასევე, კითხულობს ლექციებს პერსონალური მონაცემების დაცვისა და ინფორმაციის თავისუფლების საკითხებზე.

სალომე ბახსოლიანი ფლობს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის ბაკალავრის და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) საჯარო მმართველობის მაგისტრის ხარისხს.



მოხსენებელი



გიორგი გაბეჯარდაშვილი

სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე

2007 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი. 2008-2010 წლებში სწავლობდა გერმანიაში, ქ. ჰანოვერის ლაიბნიცის სახელობის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. მიენიჭა მაგისტრის სარისხი. 2011-2013 წლებში მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში გამომძიებლის პოზიციაზე. 2013-2014 წლებში ეკავა ქ. თბილისის პროკურატურის საგამომძიებო ნაწილში უფროსი გამომძიებლის თანამდებობა. 2014-2018 წლებში მუშაობდა საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამომძიებო ნაწილში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის თანამდებობაზე. 2018-2019 წლებში იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტში მონიტორინგის სამსახურის უფროსი, ხოლო 2019 წლის თებერვლის თვიდან ამავე დეპარტამენტში მუშაობდა დეპარტამენტის უფროსის პოზიციაზე. 2019 წლის ივლისის თვიდან უკავია სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილის თანამდებობა.

ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით და პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა. ფლობს გერმანულ და რუსულ ენებს.



მომხსენებელი

გიორგი ბურჯანაძე

საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე

ის კოორდინაციას უწევს და ზედამხედველობს სახალხო დამცველის აპარატის შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს: სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტს, პრევენციის ეროვნული მექანიზმს (დეპარტამენტს), სტრატეგიული სამართალწარმოების სამმართველოს, ანალიტიკურ დეპარტამენტს, ადამიანის უფლებათა სწავლების დეპარტამენტს. მანამდე, ის მუშაობდა „ღია საზოგადოების ფონდში“ ადამიანის უფლებების პროგრამის მენეჯერის პოზიციაზე. მას აქვს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის დიდი გამოცდილება.

გიორგი ფლობს ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხს შედარებით კონსტიტუციურ სამართალში, მას ასევე მინიჭებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრისა და ბაკალავრის ხარისხი. გიორგი არის მოწვეული ლექტორი თავისუფალ უნივერსიტეტში, სადაც ის კონსტიტუციურ სამართალსა და ადამიანის უფლებებს ასწავლის.



მოხსენებელი

ეკატერინე სხილაძე


საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე

2007 წლიდან აქტიურად არის ჩართული საქართველოში ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის დაცვისკენ მიმართულ პროცესებში. საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილედ დანიშნვამდე ეკატერინე სხილაძე მუშაობდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტის ხელმძღვანელად (2013-2016), არასამთავრობო ორგანიზაციაში ქალთა საინფორმაციო ცენტრი პროგრამების მენეჯერად (2007-2012 წწ.). 2016 წელს ეკატერინე სხილაძეს მიენიჭა კატო მიქელაძის პრემია ქვეყანაში ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად გაწეული საქმიანობისთვის.

ეკატერინე სხილაძეს დამთავრებული აქვს ბორჯომის N1 საჯარო სკოლა, შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. ფლობს საჯარო სამართლის მაგისტრის ხარისხს.



მომხსენებელი



პაატა ტურაპა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი. საპართლის დოქტორი (კოტსდამის უნივერსიტეტი, გფრ)


1996 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2002 წელს მიენიჭა გერმანიის პოტსდამის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის მაგისტრის წოდება (ფრიდრიხ ებერტის ფონდის სტიპენდიანტი). 2006 წელს მიენიჭა გერმანიის პოტსდამის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის დოქტორის წოდება (DAAD-სტიპენდიანტი). ახორციელებს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ადმინისტრაციული და შედარებით სამართლის მიმართულებით. მონაწილეობს ეროვნული და საერთაშორისო პროექტების ფარგლებში მიმდინარე საქართველოს სამართლის სისტემის რეფორმაში:

- არის საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის თანაავტორი და საკანონმდებლო რეფორმის თანამონაწილე.
- ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული საკანონმდებლო ინსტრუმენტების გაძლიერების მიზნით საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელებული კანონშემოქმედებითი საქმიანობის ფარგლებში მონაწილეობდა ბავშვის უფლებათა დაცვის სისტემის სრულყოფის კონცეფციის და ბავშვის უფლებათა კოდექსის პროექტის შემუშავებაში.
- მონაწილეობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის შემუშავების მიზნით შექმნილ საპარლამენტო სამუშაო ჯგუფში.
- ჩართულია ინფორმაციის თავისუფლებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის და პრაქტიკის სრულყოფის მიზნით მიმდინარე აქტივობებში.
- აქტიურად მონაწილეობს საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და საჯარო მოსამსახურეების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა და სამუშაო ჯგუფებში.

პაატა ტურაპა არის ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის და ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილის დარგების სახელმძღვანელოების ავტორი და თანაავტორი. აქვს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი და პუბლიკაცია ადმინისტრაციული სამართლის აქტუალურ საკითხებზე.



მოხსენებელი



ანა ჭიაბრიშვილი

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) პროექტის მენეჯერი

ანა ჭიაბრიშვილმა სამართალმცოდნეობის საბაკალავრო ეტაპი თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში დაასრულა (2009-2013), ხოლო 2019 წელს ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში მოიპოვა მაგისტრის ხარისხი შედარებითი კონსტიტუციონალიზმის სპეციალიზაციით.

მას აქვს ხანგრძლივი კვლევითი გამოცდილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტში (2013-2017), სადაც მისი სწრაფი კარიერული წინსვლა სტაჟირების ეტაპიდან უფროსი მრჩევლის პოზიციით დასრულდა. ხოლო არასამთავრობო სექტორში მისი პროფესიული განვითარება 2018 წლიდან „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებაში“ (ISFED) პოლიტიკის მკვლევარის პოზიციით დაიწყო, სადაც ის დემოკრატიული მმართველობის, სახელისუფლებო კონტროლის სამოქალაქო მექანიზმებითა და გამჭვირვალობის საკითხებით დაინტერესდა.

ანას ინტერესის სფეროებია: კონსტიტუციური მართლმსაჯულება, ადამიანის უფლებები, სახელისუფლებო დანაწილებისა და კონტროლის საკითხები, ღია მმართველობა, კორუფცია.



თ. შავჩენკოს ქ. 20, 0108
თბილისი, საქართველო



+ 995 32 292 15 14



INFO@IDFI.GE



WWW.IDFI.GE